ონის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის

ო ქ მ ი #2

ქ. ონი 18 ოქტომბერი 2022 წ.

18. 10. 2022 წ. გაიმართა ონის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა საბჭოს თავმჯდომარე ბაჩანა მარკოიშვილი. სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები: ბაჩანა მარკოიშვილი, ალავერდ ხვედელიანი, შუქურა ჯაფარიძე, გიორგი მარკოიშვილი, გივი მეტრეველი, სონია გუგეშაშვილი, ვასილ მეტრეველი, სერგო ლობჯანიძე, ლევან ორდინიძე, ვლადიმერ ბერელიძე, ალექსანდრე კერვალიშვილი, ნინო ჯმუხაძე, თამილა ჩიკვილაძე, თამარ ჩიხრაძე, ლევან შერაზადიშვილი, მანანა ჩაგელიშვილი, ლამარა გამყრელიძე, მაგდანა მაისურაძე, ნონა ბაკურაძე, თამარ ჩიხრაძე, მამუკა ყავლაშვილი, თამარ ხომასურიძე.

არ ესწრებოდნენ: თორნიკე მეტრეველი, გივი ბენდიანიშვილი, ანა ბაქრაძე, ნონა მაისურაძე, თამილა არჩვაძე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.გენდერული სტატისტიკა ონის მუნიციპალიტეტში.

მომხსენებელი: ბაჩანა მარკოიშვილი-გენდერული საბჭოს თავმჯდომარე

2. სოციალურად დაუცველ ქალთა დასაქმების შესახებ.

მომხსენებელი ლამარა გამყრელიძე- გენდერული საბჭოს წევრი

მოისმინეს 1. გენდერული სტატისტიკა ონის მუნიციპალიტეტში.

მომხსენებელი: ბაჩანა მარკოიშვილი-გენდერული საბჭოს თავმჯდომარე

ბ. მარკოიშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო ონის მუნიციპალიტეტში არსებული სტატისტიკა გენდერული თვალსაზრისით და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში დასაქმებულთა შორის გენდერული ბალანსი დაცულია. ისაუბრა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროში შემუშავებული და განხორციელებული გენდერულ თანასწორობაზე ორიენტირებულ მუნიციპალურ პროგრამებზე, სპორტულ ცხოვრებაში გოგონათა და ქალთა ჩართულობის პოპულარიზაციაზე და აღნიშნა, რომ საჭიროა მეტი აქტიურობა და ჩართულობა, რათა დაიგეგმოს და განხორციელდეს სხვადასხვა აქტივობები

ქალთა უფლებების დაცვისა და გაძლიერების მიზნით და ისაუბრა საზოგადოებრივ ცხოვრების ყველა სფეროში ქალთა ჩართულობისა და გაძლიერების აუცილებლობაზე.

მოისმინეს: 2. სოციალურად დაუცველ ქალთა დასაქმების შესახებ.

მომხსენებელი ლამარა გამყრელიძე- გენდერული საბჭოს წევრი

მომხსენებელმა ისაუბრა მუნიციპალიტეტში სოციალურად დაუცველ ქალთა დასაქმების შესახებ და აღნიშნა, რომ პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ სოფლებში დგას. სამუშაო ადგილების არ არსებობის გამო, ვერ საქმდება შრომისუნარიანი ადამიანი და ძირითადად თავს ირჩენს შიდა მეურნეობით, რომელსაც უმთავრესად პირადი მოხმარებისთვის იყენებს. სოციალურად დაუცველი ვერ იქნება საზოგადოებრივად აქტიური, ამიტომ სასურველი იქნება, დაიგეგმოს გასვლითი აქტივობები, რომ სოფლის მოსახლეობა მაქსიმალურად იყოს ინფორმირებული სამუშაოს მოპოვებაში მათი უფლებების შესახებ. თუნდაც ერთ ადამიანს თუ გაეწევა დახმარება, ეს იქნება ძალიან სასიხარულო.

აღნიშნულ პრობლემაზე ისაუბრა ვ. მეტრეველმა და აღნიშნა, რომ სოციალური დახმარების პროგრამამ გამოიწვია შრომისუნარიანი მოსახლეობის გაზარმაცება, ადამიანს დაეკარგა გამდიდრების სურვილი, შრომას ურჩევნია იყოს ღარიბი. ქალების დასაქმების ძირითადი წყარო სამსახურებია, სოფლად ქალს არ აქვს ამის საშუალება და დაკავებულია შიდა მეურნეობით, თუმცა ძალიან რთულია სოფლის პროდუქტის რეალიზაცია, კარგი იქნებოდა იყოს რძის გადამამუშავებელი მცირე საწარმოები, რომ გლეხს შეეძლოს თავისი წარმოებული პროდუქციის რეალიზება, კარგი იქნება კოოპერაციის კუთხით ხელისშეწყობა, ფსიქოლოგიის კუთხით კი აუცილებელია საზოგადოებისთვის თანამედროვე შრომის სწავლება.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ზაჩანა მარკოიშვილი

ონის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე